წრეები

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს სთავაზობს ფასიანი წრის სახით:

✓ <u>გახანგრძლივებული სწავლის წრე</u> – სკოლა სთავაზობს დამატებით მომსახურებას იმ მშობლებს, ვინც დაკავებულნი არიან დღის განმავლობაში, გაკვეთილების მერე ან დაწყებამდე ორ ცვლიანი სწავლების შემთხვევაში: 8.30- 18:00 საათამდე, მოსწავლეზე ზედამხედველობა, კონტროლი, აღმზრდელობა და 1–3 საგანმანათლებლო აქტივობით; I-VI კლასები.

✓ <u>ვოკალის I -VI კლასები</u> - სწავლის მიზანია მოსწავლეებს გააცნოს სხვადასხვა სიმღერების წარმოშობის კულტურა, უშუალოდ კი მოზარდებს შეასწავლოს სიმღერა სახალისოდ. ისწავლება 2 საათი კვირაში;

✓ <u>კარატეს I-XII კლასებში-</u> სწავლის მიზანია მოსწავლეებს გააცნოს კარატეს წარმოშობის კულტურა, უშუალოდ კი, მოზარდებს ჩამოუყალიბდეს ჯანსაღი ცხოვრების წესი, დისციპლინა, თავდაცვა და უნარების კონცენტრაცია. ისწავლება 3 საათი კვირაში;

✓ <u>ნორჩ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა წრე</u>- სწავლების მიზანია მოზარდში ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური, ციფრული და სიმბოლური აზროვნებისა და კვლევის უნარ-ჩვევის გამომუშავება, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში. ისწავლება V – IX კლასებში, 3-4.5 საათი კვირაში; ნებაყოფლობითი არასავალდებულო საგანმანათლებლო წრის სახით; მასწავლებლის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით; შეფასების სისტემის გარეშე;

✓ ***ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს სთავაზობს ფასიანი წრის სახით:***

✓ <u>ჭადრაკის I -VI კლასები</u> - სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში ანალიტიკური, ლოგიკური და სიმბოლური აზროვნებისა და შეჯიბრების უნარ-ჩვევის გამომუშავება, რომლებიც მას დაეხმარებათ სწავლაში და ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში. ისწავლება 3 საათი კვირაში, ნებაყოფლობითი არასავალდებულო წრის სახით, მასწავლებლის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით, შეფასების სისტემის გარეშე.

კლუბები

2023-2024 სასწავლო წელს სკოლა აგრეთვე სთავაზობს უფასო კლუბებს:

- **სამოქალაქო კლუბი „ლორაქსი “**

კლუბის მიზანი:

მოსწავლეებს განუვითარდეთ სააზროვნო უნარები;
მოსწავლეებმა ითანამშრომლონ სხვადასხვა აქტუალური საკითხების მოგვარებისთვის;
განუვითარდეთ აქტიური მოქალაქის შესაბამისი უნარ-ჩვევები;

- **ნორჩ შემოქმედთა კლუბი - ,,წიგნიერი თაობა“**

კლუბის მიზანია:

წიგნის სიყვარულის გაღვივება, წიგნისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შექმნა;
წიგნიერების დონის ამაღლება;
მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენისა და რეალიზების ხელშეწყობა;
ლიტერატურის პოპულარიზაცია;
კითხვის მოტივაციის ამაღლება;
აკადემიური, შემოქმედებითი, ეთიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება
პატივისცემისა და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ გარემოში;
მშობლებთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობის გაზრდა სასკოლო ცხოვრებაში.

- **ეკოკლუბი -,,მწვანე კლუბი''**

კლუბის მიზანია : ეკოკლუბი ,,მწვანე კლუბი'' მიზნად ისახავს მოსწავლეთა სამოქალაქო და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პიროვნული თვისებების დახვეწასა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

- **კლუბი ალგორითმიკა**

მიზანი - სასწავლო-საგანმანათლებლო კლუბი „ალგორითმიკა“ ითვალისწინებს სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ალგორითმული აზროვნების უნარების განვითარებას, კოდირების სწავლას.

- ✓ **ლიტერატურული კლუბი ,,გრეინჯერები“**

კლუბის მიზანია : კლუბი ,,გრეინჯერები“ ითვალისწინებს სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის დაწყებითი და საბაზო სკოლის მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებას, ცნობიერების ამაღლებას, პიროვნული თვისებების დახვეწასა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას;

- ✓ **კლუბი „ატომების ოჯახი“**

კლუბის მიზანია :

მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი, მოტივაციური, ინდივიდუალური, ემოციური სააზროვნო, სოციალური უნარ-ჩვევები;

მოსწავლეებმა ითანამშრომლონ სხვადასხვა საკითხების მოგვარებისთვის;

განუვითარდეთ აქტიური მოქალაქის შესაბამისი უნარ-ჩვევები და ეფექტურად გადალახონ არსებული ბარიერები და სიძნელეები.